ხელშეკრულება №
სამუშაოს შესრულების შესახებ

ქ. თბილისი

27. 11 . 2019 წელი

შპს „თბილისი ენერჯი“ (შემდგომში - „შემსრულებელი“), წარმოდგენილი დიღომი-დიდუბის ბიზნესცენტრის მენეჯერი ზურაბ ღირსიაშვილის სახით, ერთი მხრივ და შპს კრეატივ ქონსთრაქშენ ს/კ405238899 (შედგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი-დირექტორი თორნიკე შანიძე პ/ნ 35001037154 სახით, მეორე მხრივ, შემდგომში ერთობლივად, „მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე – „მხარედ“ წოდებულნი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს დამკვეთისათვის ამ მუხლის 1.2. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო და უზრუნველყოს მისი ტექნიკური ზედამხედველობა, ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს შეთანხმებული საზღაური ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.
1.2. სამუშაო მოიცავს: ქსელის რეკონსტრუქცია პროექტის შესაბამისად (მილების გადაადგილება)
1.3. სამუშაოს შესრულების ადგილია: დავარის 35

2. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. სამუშაოს ღირებულება შეადგენს 4841,09 ლარს (აბონენტმა წარმოადგინა ნებართვა) და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
2.2. დამკვეთის მიერ სამუშაოს ღირებულების გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3. სამუშაოს შესრულების ვადა და მისი მიღების წესი

3.1. სამუშაო უნდა შესრულდეს შემსრულებელთან ანგარიშსწორების განხორციელების თარიღიდან ___30_ სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, თუ სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა მესამე პირ(ებ)ის თანხმობა ან/და კანომდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო ნებართვა, მაშინ აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება შემსრულებელთან ანგარიშსწორების განხორციელებისა და სამუშაოს შესრულებაზე მესამე პირ(ებ)ის თანხმობის წარდგენის ან/და კანომდებლობით გათვალისწინებული ნებართვის გაცემის თარიღიდან.
3.2. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დამკვეთი, მისთვის მიღება-ჩაბარების აქტის გადაცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხელს არ მოაწერს აღნიშნულ აქტს ან ამავე ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს მის ხელმოწერაზე უარის მიზეზს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება ხელმოწერილად, ხოლო სამუშაო ჯეროვნად შესრულებულად.

4. მხარეთა ძირითადი ვალდებულებები და უფლებები

4.1. შემსრულებელი ვალდებულია, სამუშაო შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.
4.2 შემსრულებელი უფლებამოსილია, სამუშაოს შესრულების პროცესში, დამკვეთთან შეუთანხმებლად, ჩართოს მესამე პირი (ქვეკონტრაქტორი).
4.3 დამკვეთი ვალდებულია:
4.3.1 გადაიხადოს სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;
4.3.2 საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებაზე მესამე პირ(ებ)ის თანხმობის მოპოვება, აგრეთვე ნებართვის მიღება, თუ კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული ნებართვის მოპოვება არ წარმოადგენს მხოლოდ შემსრულებლის ვალდებულებას;
4.3.3 დაიცვას სამუშაოს ტექნიკური პირობის და/ან საინჟინრო პროექტის მოთხოვნები.
4.4. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სადავო საკითხი გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

6. ფორს–მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (შემდგომში - „ფორს–მაჟორული გარემოებები“) მოქმედებით (სამუშაოს შესრულებაზე დამკვეთის მეზობლ(ები)ს/სხვა მესამე პირ(ებ)ის წინააღმდეგობა, სტიქიური უბედურება, საომარი მოქმედება, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება და სხვა), რამაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.
6.2. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს, აგრეთვე შეატყობინოს მას თავისი მოვალეობების შესრულების განახლების მოსალოდნელი თარიღი.
6.3. თუ ფორს–მაჟორული გარემოებები გაგრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტი დროით, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, რის თაობაზედაც წინასწარ, სულ მცირე, 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს.
6.4. ფორს–მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 27 ნოემბრიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
7.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:
7.2.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
7.2.2 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ფორს-მაჟორული გარემოებების 1 (ერთი) თვეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში;
7.2.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში;
7.2.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.
7.3. ამ მუხლის 7.2 პუნქტის 7.2.2 და 7.2.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წინასწარი წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე.
7.4. თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება შემსრულებლის ინიციატივით, დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, ან დამკვეთის მოთხოვნით, თუ ეს მოთხოვნა განპირობებული არ არის შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით, მაშინ დამკვეთი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

8. განსაკუთრებული პირობა

8.1. დამკვეთის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოს ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება.
8.2. თუ დამკვეთი არ შეასრულებს ან არასათანადოდ შეასრულებს სამუშაოს ტექნიკური პირობის და/ან საინჟინრო პროექტის მოთხოვნებს, მაშინ შემსრულებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, დამკვეთს მიეცემა გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად და იმავე დროით გადაიწევს შემსრულებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადებიც. ამასთან, თუ დამკვეთი, მისთვის მიცემულ ვადაში, არ აღმოფხვრის დარღვევას, შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის 7.2.3 ქვეპუნქტის საფუძველზე.

9. დანართები

9.1. ხელშეკრულებას თან ერთვის საინჟინრო პროექტი - დანართი №1.
9.2. ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი, მისი შედგენის თარიღის მიუხედავად, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.
10.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ითვლება სათანადოდ გაფორმებულად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და გაგზავნილია ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებულ შესაბამის მისამართზე.
10.3. ხელშეკრულებით მოუწესრიგებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტური ეგზემპლარის სახით, თითოეული მხარისათვის.

11. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:
შპს „თბილისი ენერჯი“
მის. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა
ს/კ 205129617, სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE81BG0000000173317400

დიღომი-დიდუბის ბ/ც
მენეჯერი ზურაბ ღირსიაშვილი

დამკვეთი:
შპს კრეატივ ქონსთრაქშენ
მის. დავარის 35
ს/კ 405238899
დირექტორი: თორნიკე შანიძე